

# ოჯახის ექიმი: როგორ ზრუნვას ის თქვენს ჯანმრთელობაზე

## 7 მკაფიო მიზეზი, რატომ უნდა მიახლოდეთ თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა ოჯახის ექიმს

ოჯახის ექიმი ის ადამიანია, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვაში და აი რატომ:

### 1. ოჯახის ექიმი კარგად გიცნობთ თქვენ და თქვენი ჯანმრთელობის პრობლემებს:

ოჯახის ექიმი დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად და გაცილებით უკეთესად, ვიდრე სხვა სპეციალისტები, გაიცნობთ თქვენ და თქვენი ჯანმრთელობის პრობლემებს - გადატანილი დაავადებებს, სხვადასხვა დაავადებებისადმი მიდრეკილებას, თქვენზე კარგად მოქმედ წამლებს, ასევე ნაკლებად ეფექტურ ან ცუდად მოქმედ მედიკამენტებს, მემკვიდრეობით დაავადებების ოჯახურ ისტორიას, ასეთის არსებობის შემთხვევაში; მოკლედ, ყველაფერს, რაც თქვენს ჯანმრთელობას ეხება.

### 2. ოჯახის ექიმი კოორდინაციას უწევს თქვენზე ზრუნვას:

ოჯახის ექიმთან თავს იყრის თქვენი ჯანმრთელობის შესახებ კლინიკაში მოპოვებული და დაგროვებული ყველა ინფორმაცია - ლაბორატორიული თუ ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგები, სხვადასხვა სპეციალისტის მიერ ჩატარებული კონსულტაციების შედეგები, სხვა დაწესებულებებში თქვენთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების აღწერილობა და აქ ჩატარებული მკურნალობის შედეგები. ოჯახის ექიმი თანამშრომლობს სხვადასხვა სპეციალისტთან, ითვალისწინებს მათ აზრს და უზრუნველყოფს თქვენთვის გაწეული მრავალფეროვანი სამედიცინო მომსახურების კოორდინაციას.

### 3. ოჯახის ექიმს შეგიძლიათ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემის გამო მიმართოთ:

ოჯახის ექიმს აქვს ფართო განათლება და განსაკუთრებული მომზადება, რაც მას საშუალებას აძლევს შეაფასოს თქვენი ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა და მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილება ამ პრობლემის მოგვარების შესახებ - დასვას დიაგნოზი და დაგინიშნოს საჭირო მკურნალობა, დაგეგმოს და უზრუნველყოს ანალიზების და გამოკვლევების ჩატარება, გაგაგზავნოთ სხვა სპეციალისტთან და ითანამშრომლოს მასთან თქვენი დიაგნოზის დასაზუსტებლად და საუკეთესო მკურნალობის დანიშვნის მიზნით, საჭიროებისას გაგაგზავნოთ საავადმყოფოში.

#### **4. ოჯახის ექიმის ზრუნვა თქვენს ჯანმრთელობაზე ხანგრძლივია:**

ოჯახის ექიმი თქვენი ჯანმრთელობის შესახებ ხანგრძლივი ზრუნვისთვის არის მოწოდებული და მომზადებული, ის თქვენი მეგზური ექიმი იქნება თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე, როცა თქვენი ჯანმრთელობა ყურადღებას და ზრუნვას საჭიროებს - მწვავე დაავადებების მკურნალობა, ქრონიკული დაავადებების მიმდინარეობის შემსუბუქება, გამწვავებების თავიდან აცილება, ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება, სიცოცხლის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე წარმოქმნილ პრობლემებთან გამკლავება, ჯანსაღი ზრდა-განვითარება და დაბერება.

#### **5. ოჯახის ექიმი თქვენს საცხოვრებელ და სამუშაო გარემოსაც ითვალისწინებს**

ოჯახის ექიმი ეცნობა და აკვირდება თქვენი ოჯახის, თქვენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს თავისებურებებს და ითვალისწინებს მათ თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვაში. ის აფასებს, რა ახდენს დადებით და უარყოფით გავლენას თქვენს ჯანმრთელობაზე, ვინ და როგორ შეიძლება დაგეხმაროთ თქვენი ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ჯანმრთელობის პრობლემათა მოგვარებაში.

#### **6. ოჯახის ექიმი ზრუნავს თქვენთვის დაავადებათა თავიდან აცილებაზე:**

ოჯახის ექიმი ცდილობს, თავიდან აგაცილოთ დაავადებათა განვითარება, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, ადრეულ ეტაპზე ამოიციოს მათი არსებობა, დროულად დაიწყოს მათი მკურნალობა და შეამციროს დაავადებით გამოწვეული ზიანი და თავიდან აგაცილოთ სერიოზული გართულებები და მძიმე შედეგები;.

ოჯახის ექიმი თქვენი ასაკის, სქესის, ცხოვრების ნირის, ჩვევების, საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს გათვალისწინებით შესაბამისად ჩამოაყალიბებს რჩევებს, ცხოვრების როგორი წესი იქნება თქვენი ჯანმრთელობისთვის საუკეთესო, როგორ დაძლიოთ ჯანმრთელობისათვის საზიანო ჩვევები, პრევენციის რა მეთოდებს მიმართოთ, რომ იყოთ ჯანმრთელი, ნაკლებად შეგაწუხოთ დაავადებებმა და იყოთ დღეგრძელი.

#### **7. ოჯახის ექიმისთვის უპირველესად თქვენ ხართ მნიშვნელოვანი:**

ოჯახის ექიმ ზრუნავს პიროვნებაზე, უშუალოდ თქვენზე და არა კონკრეტულ დაავადებაზე; საქმე ის არის, რომ თითოეული ადამიანი უნიკალურია და ჯანმრთელობის ერთი და იგივე პრობლემა ცალკეულ ადამიანში განსხვავებულად ვლინდება და თავისებური მკურნალობაჭირდება; თქვენი ჯანმრთელობის ნებისმიერ პრობლემას მხოლოდ თქვენთვის შესაბამისი ზრუნვა და მკურნალობაჭირდება.